ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

KA010160458911316

№16/199884

29 / ივლისი / **2016** წ.

აკაკი ჩხაიძე, 01023000419, აკურის ქ 31, 597777755

ბატონო აკაკი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #262814/12 წერილის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, აკურის ქ.#31-ში, (საკ. კოდი N01.10.13.035.001) მდებარე ობიექტის (სასტუმრო) და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის 05.04.2016წ. #ბ-101047/12 ბრძანებაში მითითებული საკადასტრო საზღვრების დარღვევა გამოსწორებულია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ჰ-101047/12

"05" 04. 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, აკურის ქ.№31–ში (საკ. კოდი №01.10.13.035.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმრო) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1848416 20.04.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, აკურის ქ.№31–ში (საკ. კოდი №01.10.13.035.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-კ“ ფასადი: -1.80 ნიშნულზე, „ა-ზ“ მონაკვეთში ღიობებში მინაბლოკის ნაცვლად მოწყობილია ფრამუგები გისოსით, ასევე შემცირებულია ღიობების სიმაღლე. +4.00 ნიშნულზე „ა-ზ“ მონაკვეთში ტერასაზე დამატებით მოწყობილია სატელიტური თეფშები. შენობის ძირში ფასადი ნაწილობრივ შესაღებია. „ა-ა“ ღერძთან ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ღიობი. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყლის გადამყვანი და გამწოვი მილები. „ზ-ი“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი, ასევე „ი-ი“ ღერძთან შეცვლილია წყალშემკრები მილის ფორმა. „ზ-ი“ მონაკვეთში აივანზე არ არის მოწყობილი მოაჯირი.

„8-1“ ფასადი: +24.60 ნიშნულზე „5-4“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და ნაწილობრივ შესაღებია. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები და წყლის გადამყვანი მილები. „8-8“ ღერძის გარეთ შემცირებულია კედლის სიმაღლე და დამატებულია ლომის ქანდაკება. +21.20 ნიშნულზე შემცირებულია აივნის ღიობების სიმაღლე, ამავე ნიშნულზე შეცვლილია მინის მოაჯირის გაბარიტები და გამოწეულია კედლის სიბრტყიდან. +21.20 ნიშნულზე „7-6“ მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟის სიმაღლე. „2-1“ მონაკვეთში ფასადი მოსაპირკეთებელია და დამატებით მოწყობილია თუნუქის გამწოვი მილი. „5-3“ მონაკვეთში არ არის მოხსნილი ხარაჩოები. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტო. შენობის ძირში დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთება.

„კ-ა“ ფასადი: -1.20 ნიშნულზე „გ-ბ“ მონაკვეთში კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, შემცირებულია სიმაღლეში და დამატებულია ლომის ქანდაკება; აღნიშნულ კედელს და კიბეს შორის არ არის მოწყობილი ჰიდრავლიკური ამწე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეტლისთვის. „გ-ა“ მონაკვეთში შემცირებულია კიბის სიგანე და გაუქმებულია ერთი საფეხური. -1.20 ნიშნულზე „გ-ბ“ ღერძთან არ არის მოწყობილი მოაჯირი. ±0.00 ნიშნულზე „გ-ა“ მონაკვეთში ალუმინის ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ხის კარი და შეცვლილია მისი ნახატი, ასევე კარს მონაცვლებული აქვს ადგილი „7-7“ ღერძისკენ, რითაც ტერასის ფართის ხარჯზე გაიზარდა შენობის შიდა ფართი. +17.90 ნიშნულზე შემცირებულია აივნის ღიობების სიმაღლეები, ასევე შეცვლილია მინის მოაჯირების გაბარიტები და გამოწეულია კედლის სიბრტყიდან. +24.50 ნიშნულზე, „გ-ა“ მონაკვეთში კაპიტალურ მოაჯირში დამატებით მოწყობილია ღიობი.

„8-1“ და „კ-ა“ ფასადებზე, +4.00 ნიშნულიდან +17.90 ნიშნულამდე აივნებზე ნაწილობრივ ალუმინის ალათებში დამატებით მოწყობილია შემინვა.

„1-8“ ფასადი: ფასადზე დამატებით მოწყობილია გამწოვი წყლის გადამყვანი და საკომუნიკაციო მილები. +4.00 ნიშნულზე „1-4“ მონაკვეთში აივანზე არ არის მოწყობილი მოაჯირი. „2-2“ ღერძთან შემცირებულია წყალშემკრები მილის ფორმა. შენობის ძირში

დამატებით მოწყობილია ღიობები გისოსით, ხოლო „3-5“ მონაკვეთში ფილა შესალესი და შესაღებია.

სარდაფის სართულზე, „2-2“ ღერძზე შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და გაბარიტები. „7-7“ ღერძთან „ზ-გ“ მონაკვეთში გაუქმებულია ბაქანი და შეცვლილია საფეხურის ფორმა და გაბარიტები. „დ-ა“ მონაკვეთში „6-7“ ღერძებს შორის შეცვლილია ბაქნის და საფეხურის გაბარიტები. -3.95 ნიშნულზე „2-7“ მონაკვეთში შენობის კედელს და საყრდენ კედელს შორის მიწით შევსების ნაცვლად შექმნილია დამატებით ფართი და ტექნიკური ორმოები. „1-4“ მონაკვეთში კონსოლური ფილის ქვეშ დამატებით მოწყობილია სვეტები და ჭა.

+4.00, +8.00, +11.30 და +14.60 ნიშნულებზე აივნებზე არ არის მოწყობილი გამყოფები. +4.00 და +8.00 ნიშნულებზე აივნის ფილაზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციული ელემენტები. შენობაში „4-7“ მონაკვეთში ზოგიერთ სართულზე შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. +24.50 ნიშნულზე ჩილერის მონაცვლებული აქვს ადგილი. სახურავზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები, ხოლო „2-3“ მონაკვეთში არ არის დასრულებული გამწოვი მილის მოწყობა +21.20 ნიშნულზე, „თ-გ“ მონაკვეთში ვიტრაჟი დახრილად მოწყობის ნაცვლად გასწორებულია. შენობაში დამატებით მოწყობილია რიგელები.

±0.00 ნიშნულზე, „ა-ა“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია წყლის რეზერვუარი. „8-8“ ღერძის გარეთ „ე-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლუქი ტექნიკურ ორმოსთვის. „ნ-8“ მონაკვეთში „კ-კ“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთებული ბაქანი, რომელიც ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს. „8-8“ და „კ-კ“ ღერძების გარეთ დამატებით მოწყობილია დაბალი კედელი, რომელიც ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს. „8-8“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ბაქანი და ტექნიკური ორმო, რომლებიც გაცდენილია საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „იბერია 2012“–ს, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, აკურის ქ.№31–ში (საკ. კოდი №01.10.13.035.001) მდებარე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სასტუმრო) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №101047/12 22.03.2016წ. და №102445/12 22.03.2016წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე



აპაპი ჩხაიძე

5.04.2016

12.04.2016 10: